# ივერია

გაზეთი ღირს

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891



**თავადი ივანე დავითის ძე ფავლენიშვილი** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა მამისა თვისისა თავადის **დავითის ფავლენიშვილისა** 7-სა ამა ივლისსა და სთხოვს უმორჩილესად, მობრძანდნენ დასაფლავებაზედ სოფელს ერდევში (გორის მაზრა), 11 ამა ივლისის თთვესა. (1—91—1)

**ვიმონ, სოლომონ და გრიგოლ ივანეს ძენი კურდღელოვები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას დედისა თვისისა მარიამისა, და სთხოვენ, მობრძანდნენ შუა ბაზარში, სურგუნოვის სახლში, 11 ამა ივლისს დილის 9 საათზედ, გარდაცვალებულის გვამის გამოსვენებაზედ სიონის ტაძარში.
(1—93—1)

## ტფილისის სათავად-აზნაურო სადვილ-მამულო ბანკის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამა ივლისის თთვის 12 რიცხვიდამ მიიღება განცხადება იმათგან, ვისაც ქალაქს **ბათუმში** მამულების დაგირავებით სესხის გატანა ჰსურთ. ამ განცხადებათა მისაღებად ბათუმს მიდის ბანკის დირექტორი. (3—90—1)

### ქალაქის გამგეობა

ამით აცნობებს სახლის პატრონთ, რომ გამგეობა დაეძებს საქირავებლად საქალაქო პირველ-დაწყებითის სასწავლებლებისათვის სახლებს ერთს ავლაბარში, მეორეს კუკიაში, მეათე განყოფილების მიდამოებში, ანდრეევისა, ალექსანდრესა ან ნიკოლოზის ქუჩებში. სახლები საჭიროა ამ წლის 1-ლ ენკენისთთვიდამ. სადგომი უნდა 4-5 ოთახისა და ამათგან ორი დიდი უნდა იყოს და ცალკე ეზოც ჰქონდეს. დაწვრილებით პირობათა შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობაში.
(1—92—1)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება

**დ. ზ. ბაქრაძის თხზულება**

## ისტორია საქართველოსი

(უძველესის დროიდამ მე-X საუკ. დასასრულამდე)

ფასი ერთი მანეთი
(10—0—10)


ტფილისი, 9 ივლისს

ევროპის სამთა სახელმწიფომ ხელახლად შეკრეს კავშირი ექვსის წლის ვადით. ბევრი მოელოდა და საფუძვლიანადაც ჰქონდათ იმედი, რომ მილიტარიზმის სულის ჩამდგმელი სამთა კავშირი აღარ განახლდება, ბოლოს მოელება და ამით ევროპის ერს მიეცემა საშუალება თავისუფლად ამოსუნთქვისა. მას შემდეგ, რაც თ. ბისმარკმა სამსახურს თავი დაანება, იტალიაში დაემხო კრისპის სამინისტრო და გერმანიის ახალგაზდა იმპერატორმა, ვილჰელმა, საქვეყნოდ დაიწყო ქადაგება, რომ მუშების მდგომარეობა უნდა გაუკეთესდეს, რომ აწინდელ ყოფა-მდგომარეობაში დარჩენა მუშა კაცისა ყოვლად შეუძლებელია შემდეგშიო, ვიდა ახირდებოდა, რომ სამთა სახელმწიფოთა კავშირი ხელმეორეთ შეიკვროდა. დიახ ძნელი დასაჯერებელი იყო ეს ამბავი, მაგრამ დღეს ასე მოხდა და ამაზედ ლაპარაკობს ევროპის და რუსეთის ჟურნალ-გაზეთობა, თუმცა-კი ისე გაცხარებით და გულ-მოდგინეთ აღარ ეკიდება ამ საქმეს მწერლობა, როგორც წინათ, როდესაც ევროპის პოლიტიკას განაგებდა და მეთაურობდა ყოვლად შემძლე თ. ბისმარკი.

ერთ მოკავშირეს, სახელდობრ იტალიას, გერმანიისა და ავსტრი-ვენგრიის მეგობრობა მეტის-მეტად ძვირად უჯდებოდა და ისე შეასუსტა ეკონომიურად, რომ უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდა მისი ფინანსები*). კიდევ კარგი, თუ ასეთი უზომო სამხედრო ხარჯი უზრუნველად ჰყოფდა იტალიას ომის დროს, მაგრამ ესეც არ ყოფილა. იტალია მუდამ შიშ ქვეშ იქნებოდა, რადგან საფრანგეთს ისეთი ძლიერი ფლოტი აქვს ხმელთაშუა ზღვაზე, რომ ერთი კვირის განმავლობაში სულ მიუნგრმოუნგრევდა ზღვის ნაპირა ქალაქებს და დიდ ზიანს მისცემდა მის ვაჭრობასა და მრეწველობას. ამისათვის იტალიის მეთაურნი ყოველთვის ყოყმობდენ, სამთა კავშირს გავცილდებით, თუ არ დაგვარწმუნებთ, რომ საფრანგეთთან ომის დროს რომელიმე უცხო სახელმწიფოს ფლოტი დახმარებას არ აღმოგვიჩენსო. ასეთი სახელმწიფო არის ინგლისი, განთქმული თავისი ძლიერი ფლოტით.

ამისათვის სამთავ მოკავშირენი სულ იმის ცდაში იყვნენ, როგორმე ინგლისიც ჩაეთრიათ და მისის ძალით ერთი ათად გაეძლიერებინათ თავიანთი ჯარები და ფლოტი. მაგრამ ინგლისი თავისუფლებას არჩევდა. თუ ომი ატუდება ევროპაში, იმას წავექომაგები, ვისი დახმარებაც ჩემთვის სასარგებლო იქნებაო. ასე ლაპარაკობდენ ყოველთვის ინგლისის პოლიტიკის მეთაურნი და ეხლაც გარეშე მინისტრის ამხანაგმა ფერგიუსონმა საქვეყნოდ აღიარა პალატაში, რომ ინგლისს არავისთან ფორმალური კავშირი არ შეუკრავსო, თუმცა-კი გაზეთები დაჟინებით გაიძახიან, რომ ინგლისი მალულად მიემხრო „სამთა კავშირს“ და იტალიას აღუთქვა დახმარებაო. ესეთი ხმები ცოტათ თუ ბევრად დასაჯერებელიც არის. ინგლისის ესკადრა ეწვია იტალიას, მთავრობამ მეჯლისი გაუმართა აფიცრობას და დიდის პატივით მიიღო ინგლისის აფიცრები. შემდეგ შეერთებული ფლოტი, ინგლისისა და იტალიისა, წავიდა ავსტრიის სამზღვრებისაკენ და იქ ინახულა ავსტრიის იმპერატორმა, ფრანც იოსებმა.

როდესაც ევროპის სამხრეთ ქვეყნებში ასეთი მასპინძლობა იყო, ჩრდილოეთში, კიდევ სულ სხვა ამბები ხდებოდა. ვილჰელმი გაემგზავრა ინგლისისკენ, სადაც იგი მიიღეს აღტაცებით და უეჭველია იმპერატორს ინგლისის სახელმწიფო კაცებთან ექნებოდა მოლაპარაკება კავშირის შეკვრის თაობაზე და იტალიის ნაპირების დაცვაზე ომის დროს.

ამავე დროს არც საფრანგეთი და რუსეთი იყვნენ უსაქმოთ. საფრანგეთმა შეამზადა ბრწყინვალე ესკადრა და ასტუმრა რუსეთს. ამ დღეებში ესკადრა მივა ზღვის ციხესთან კრონშტადთან, სადაც რუსეთის ფლოტი, წინათვე შედგენილის ცერემონიალით, მიეგებება და უეჭველია ბევრი სიტყვა წარმოითქმის ერთი-ერთმანეთის მეგობრობაზე.

ზემოდ მოყვანილიდან აშკარადა სჩანს, რომ ევროპის დიდი სახელმწიფონი ორ სამხედრო ბანაკად იყოფებიან და არათუ დღეს არ იშურებენ მომავალი ომისათვის. მაშასადამე მთელი ექვსის წლის განმავლობაში ევროპა კიდევ ომის ცდაში იქნება, რაც შეიძლება უკეთ მოაწყოს თავისი სამხედრო ძალა და მომეტებული ნაწილი შემოსავლისა ჯარებს მოანდომოს.

სამხედრო ხარჯი ყოველ წლივ მატულობს, ერის სიმდიდრე ჯარების შენახვას უნდება, მუშათა საქმე-კი გამოურკვეველ მდგომარეობაში რჩება. რაც დრო გადის, მათი საქმე უფრო მწვავდება, მთავრობანიც ცდილობენ შეღავათი მისცენ მომუშავე ხალხს, შეუმცირონ დრო-მუშაობისა, წაუმატონ დღიური საფასური, მაგრამ მთავრობის ცდა და მეცადინეობა უნაყოფოდ რჩება. არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს ორი კურდღლის დევნა. ან ჯარების გამრავლება და გაუმჯობესობა უნდა იქონიონ სახეში, ან კიდევ სამხედრო ხარჯის შემცირება და მაშინ ადვილი მოსახერხებელია მუშათა საქმის სასურველად მოწყობისა.

აი სწორეთ ამისათვისაც დიდათ ეწყინათ და გულში ეკალივით მოხვდათ „სამთა კავშირის“ განახლება მშვიდობიანობის მოსურნეთ და მუშების მეგობრებს, რომელთაც ექვსი წელი კიდევ უნდა უცადონ, სანამ იმათთვისაც მოიცლიან.

ა. ფრონელი

*) წარსულ კვირას იტალიის მთავრობამ იდღესასწაულა ახალი ჯავშნიანი ხომალდის ზღვაში ჩაშვება. ხომალდი დაუჯდა მთავრობას 26 მილიონი ლირი, თითქმის იმდენი, რამდენსაც მთავრობა ხარჯავს წელიწადში სწავლა-განათლებაზე.

## ახალი ამბავი

*** უმთავრესი საფოსტო გამგეობა შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, ჩქარა დააკანონეთ და შემოიღეთ, რომ ფული ფოსტით-კი არ იგზავნებოდეს, არამედ მხოლოდ ერთის სადგურიდგან მეორეზე დეპეშით შევატყობინოთ, რომ აქ ფული მიღებულია და ამა და ამას მიეცით ამდენი და ამდენიო. ამ წესის საცდელად ჯერ ჯერობით აპირობენ, მხოლოდ ას თუმანზე ნაკლები ფულის გაგზავნა შემოიღონ დეპეშის შემწეობით.

*** გუშინ-წინ, ამ თთვის 8, ბათუმიდგან საფოსტო და სახალხო მატარებელი № 1 დაგვიანდა საათ ნახევრით მატარებლის დაგვიანების მიზეზი ისა ყოფილა, რომ კავკასიის რკინის გზის სადგურს „გორსა“ და „სკრას“ შუა დიდს ნიაღვარს რამდენსამე ალაგას რკინის გზის ლიანდაგი წაულეკია ქვიშითა და ქვებით. რკინის გზის ხიდზე თურმე ერთს ადლამდე გადადიოდა ნიაღვრის წყალი. ამის გამო სახალხო და საქონლის მატარებელი № 12, რომელიც ბათუმში მიდიოდა, შუა გზიდამ ისევ უკან გორში დაბრუნებულიყო, სანამ წვიმა გადიღებდა და გზის ლიანდაგს გაასუფთავებდნენ. საქონლის მატარებლები გაჩერებული იყო სადგურებზე შუაღამემდე.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის მე 792 ვერსზე გუშინ-წინ საქონლის მატარებლიდამ (№ 42) ჩამოვარდნილა კონდუქტორი ივანე ადამოვი, რომელსაც ხელი საქონლის ვაგონის თვალის ქვეშ მოჰყოლია და მოსჭრია.

*** იმიერ-კასპიის მხრიდგან ერთმა აქაურმა სოვდაგარმა დიდ-ძალი მატყლი გამოიწერა, რომელიც სატრანსპორტო კანტორამ „კავკასია და მერკური“ გუშინ პატრონს ჩააბარა. აქამდე ამ მატყლის უმეტესი ნაწილი საზღვარ გარედ გაჰქონდათ. პირველი ტრანსპორტი 10,000 ფუთი იყო, მეორეს ამდენსავე მოელიან. ეს მატყლი საზოგადოდ ამიერ-კავკასიაში დატრიალდება.

*** გასულს ივნისის თთვეში ქალაქის მთავარს სამკურნალოში ყოფილა სულ 3904 ავადმყოფი, ამათში 1278 კაცი, 1864 ქალი და 762 ბავშვი. ამათ შორისვე 927 ახალი ავადმყოფი ყოფილა, ფასით სამკურნალოში 508 ავადმყოფი, მხოლოდ 3396 ავადმყოფ-კი—უფასოდ. ამავე დროს ქალაქის სამკურნალოს ხარფუხის განყოფილებაში ყოფილა სულ 543 ავადმყოფი: 112 კაცი 270 ქალი და 14 ბავშვი. მათ შორის 202 ახალი ავადმყოფი, ფასით 37 ავადმყოფი ყოფილა და 506—უფასოდ. ავლაბრის განყოფილებას ანგარიში ჯერ არ წარმოუდგენია.

*** სომეხთა დრამატიულს საზოგადოებას, როგორც „ტ. ლისტ.“-ში სწერია, უკვე შეუკრებია არა თუ საჭირო თანხა 2,500 მ., არამედ იმაზედ მეტიც. ამიტომ ამ მოკლე ხანში კომიტეტს სხდომა ექნება, რომ საბოლოვოდ მოაწყოს არტისტთა დასის საქმე. ამბობენ, თვით კომიტეტსა ჰსურს, აწარმოვოს საქმე და კერძო კაცს არ ჩაუგდოს ხელშიო.

*** რკინის გზათა გამგეობათ კვლავ მიუღიათ მიწერილობა, თუ ისეთი რამ საქონელი იგზავნება, რომელიც მალე ფუჭდება, და თუ ეს საქონელი უგზობისა გამო რომელსამე სადგურზედ შეჩერდა, მაშინ, თუ პატრონის ვინაობა იცით, ორის

დღის განმავლობაში უნდა დეპეშით შეატყობინოთ და დაეკითხოთ, თუ რა უნდა უყოთ იმ საქონელს, და თუ იმის ვინაობა არ იცით, მაშინ თქვენვე უნდა მოიქცეთ ამგვარ შემთხვევათათვის შემოღებულ წესისამებრ.

*** იგდირიდგან ბ-ნ ნ. პეტრიაშვილისაგან მივიღედ განსვენებულ თ. ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობაზედ დაარსებულ ფონდის სასარგებლოდ ერთი თუმანი. ამ ფონდისა გვქონდა 112 მან. 10 კაპ., ამიანად შესდგა 122 მან. 10 კაპ.

*** სოფ. ქედა (ქვედა აჭარა). თითქმის შუა მაისის თთვიდან დაწყებული ივნისის ათამდე ჩვენში საშინელი სიცხე იდგა და, რადგანაც სწორე ეს დროა საბრალო ყანა-ბაღჩის მუშა გლეხებისათვის ხვნა-თესვისა, ამისათვის მთელი ქვემო აჭარის გლეხები გულზედ ხელი-დაკრებილები შესცქეროდნენ ბუნებას და ყოველ დღე მოელოდდნენ წყალობას. წვიმებიც დაიწყო, მოხედა ღმერთმა აჭარას და გამხიარებული გლეხები ისეთის სისწრაფით შეუდგნენ ჩვეულებრივს მუშაობას, რომ ერთის კვირის განმავლობაში მთელი საყანე ადგილები დათესეს. ცუდი საქმე მოუვიდათ საწყალს სოფ. მერისში მცხოვრებელ გლეხებსა. აქ, რადგანაც უფრო მდარე ადგილებია, ყანები უფრო ადრე დათესეს, და დიდი იმედიცა ჰქონდათ მოსავლისა, მაგრამ, საუბედუროდ, მაისის დამდეგს უეცრად ისეთი წვიმა და ქარი მოვიდა, რომ ერთის საათის განმავლობაში მთელი მერისის ყანები ჩამორეცხა. ხელ-მეორედ დასთესეს სანახევროდ თავიანთი ყანები; თუმცა ზარალი ბევრი ნახეს, მაინც იმედი იყო, რომ შიმშილობას გადარჩებოდნენ. 27 ივნისს უეცრად კიდევ მოვიდა წვიმა და ქარი, წინანდელზედ ერთი ათად უარესი, და იქაურობა სულ ერთიანად წალეკა. არამც თუ მარტო ნათესი ყანები, სახლებიც-კი შეარყია, რამდენიმე წისქვილი წყალში ჩაყარა, და ტყეებიდგან საშინელის მტვრევამსხვრევით უშველელი ნაძვის ხეები ჩამოიტანა. საკვირველი ეს არის, რომ საშინელი წვიმა დაეცა ორჯელვე მხოლოდ ერთს სოფელს, სხვა სოფლისათვის-კი არავი-თარი ზარალი არ მიუცია. ეხლა დარჩა საწყალი ამ სოფლის გლეხები, 120 მოსახლე, სრულიად უმოსავლოდ და მშიერი. მერისის ტყეებიდგან წამოღებული ხეები მთელს იმ წყლის პირის მცხოვრებლებს მთელს ზამთარში შეშად ეყოფათ, მაგრამ აქაური დაუწყნარებელი ხალხი ერთმანეთს თავ-პირს ამტვრევს წყლის მოტანილ სიმდიდრისათვის და თუ ადგილობრივმა მთავრობამ ღონე არა იხმარა-რა, შესაძლებელია შეშის გამო დიდი ხიფათი მოხდეს.

*** ამას წინად რომ ბათუმის მახლობლად ავაზაკებმა ზღვაზედ ხუთი ჯარის კაცი მოჰკლეს და სამიც კიდევ დასჭრეს, იმათს შესახებ ეხლა „Нов. Врем.“ იუწყება, რომ უკვე შეიპყრეს ოსმალეთის სოფელს ხოპეშიო. ამავე ავაზაკებს მოუკლავთ კაცი ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგურს ქობულეთში. დაჭერით ჯერ მხოლოდ შვიდი კაცი დაუჭერიათ და დაუპატიმრებიათ კიდეც. გასამართლებით ავაზაკები, როგორც იგივე გაზეთი ამბობს, სამხედრო სამართლით უნდა გაასამართლონ თურმე.

*** გაზეთ „ტ. ლისტოკ“-ის გუშინდელს ნომერში შემდეგი სასაცილო ამბავია დაბეჭდილი, თეირანიდამ მოწერილი.

განთქმული ავაზაკი ქაირიმა ერთს დალაქთან თავის მოსაპარსად შესულა. როცა დალაქს პარსვა გაუთავებია, ქაირიმას ამოუღია და ინგლისური ოქროს ფული—ლირა მიუწოდებია. დალაქს გაკვირვებით შეუხედნია: შე დალოცვილო, ერთი კვირაც რომ ვიმუშავო, მაინც ამის ხურდას ვერ ვიშოვნიო. ხურდა საჭირო არ არისო, უპასუხნია ქაირიმას.

— როგორ, აღაჯან, ორის გროშის მაგივრად ერთს ოქროს იძლევი?

— ამ ორის წლის წინად რამდენიმე ათას ოქროდ დააფასეს ჩემი თავი და ეხლა ეგ ერთი ოქრო რას გიკვირსო, უთქვამს ქაირიმას და წასულა.

---

## არჩილური შვიდ-თავი,

(საამდროო ამიცანები)

თ

თავ გამოდებით ხელ-ყოფა ასხვა-
ვებს ამისს შრომასა,
ეთაკილება, დაუთმოს დრო ფუჭ-ხმათ
გამოდგომასა,
დაწვლილებით და გულ-დასმით არ-
ჩევს სწორსა და ცდომასა,
ოქროყანელსა მგოსანსა უქებს ლექსთ
ნექტარ-წდომასა,
რთულსა საქმობას ტვირთულობს, არ
დასდევს გლახ-განცხრომასა,
ეტყობა, გრამმატიკითაც არ ცუდად
უძლვის „ხვდომასა“.

---

## კიდევ გორის მაზრის ავაზაკების შესახებ

„ივერიის“ მკითხველებმა უკვე იციან, რამდენი ბოროტ-მოქმედება და რამდენი სისაძაგლე ჩაიდინა გორის მაზრის სოფლებში სამმა ავაზაკმა. დღეს-კი იმათ თავი ამოუყვიათ დუშეთის მაზრაში. გაზეთებში ბევრი ლაპარაკი იყო მათზე და მათს მოქმედებაზე. სამწუხაროდ, მოწერილ ამბებში და ცნობებში ბევრე შეცდომა ერია. ამიტომ ჩვენ გვსურს, ახლად მივმართოდ ამ საგანს და ვსთქვად მხოლოდ ის, რაც ნამდვილი და ჭეშმარიტია, რაც მხოლოდ სარწმუნო წყაროდამ ვიცით.

ავაზაკნი არიან შემდეგნი: 1) გორის მაზრის ს. ყელეთში მცხოვრები ოსი ტატე ჯიოშვილი, 2) დუშეთის მაზრის ს. არდისში მცხოვრები სანდრო ხუბულური, აგრეთვე ოსი, ყვარლის ძველს მილიციაში ნამყოფი, 3) კავკავის ოლქის ს. ნარას მცხოვრები ალექსი ხასიშვილი (იგივე ხვეთაგუროვი), ესეც ოსი. ამ უკანასკნელს კავკავის სამოქალაქო სკოლაში ოთხი კლასი გაუთავებია. უკანასკნელს დროში იგი ზეზემანთან მსახურებდა. ხუბულური და ხასიშვილი არიან ციხეში ნამყოფი კაცის კვლაზედ და მხოლოდ ამა 1891 წ. თებერვალში განთავისუფლდნენ. ამ სამს ავაზაკს ერთმანეთი გაუცვნიათ ატენის ხეობაში და მაშინვე შეთქმულან, ყაჩაღად გავვარდეთო. ჯერ კარგად დაუთვალიერებიათ ყველა ალაგი, საცა-კი მათი ბუდობა შესაძლებელი იქნებოდა. შემდეგ ბლომად მოუმზადებიათ იარაღები, თოფის წამალი, პატრონები და ცხენები შეკმაზულობით. მაისის დამლევში ყველაფერი, რაც-კი საჭირო ყოფილა მათის საზიზღარის საქმეებისათვის, უკვე შნუძენიათ და ამ დღიდგანვე დაუწყიათ ბოროტ-მოქმედება. სხვათა შორის ცოტა ხნის განმავლობაში მოუხდენიათ შემდეგი: 1) მაისის უკანასკნელს დღეებში მოუკლავთ ბრეთელი გლეხ-კაცი ბაბურა, რადგანაც მას წინააღმდეგობა გაუწევია მათთვის, 2) ივნისში გაუქურდავთ აზნაური მიხა მეტრეველი და წაურთმევიათ ყველაფერი, რაც-კი ზედა ჰქონია.

3) ცხინვალის გზაზე გაუქურდავთ დეკანოზი ედილაშვილი და მისი დიაკვანი; წაურთმევიათ ორი ცხენი და ამასთანვე ძალ-მომრეობით და დაცინვით დაუჩოქებიათ მღვდელი და დიაკვანი და უთქვამთ, შეგვეხვეწეთ, რომ დაგლოცოთო.

4) ცხინვალის საბოქაულოში ცეცხლი მოუკიდებიათ ერთის ოსის სახლისთვის.

5) 10 ივნისს მოუტაცნიათ ქალი და დაუჭრიათ ორი გლეხ-კაცი. ერთი კიდეც მომკვდარა.

6) 11 ივნისს გაუქურდავთ გორის სასტუმროს პატრონი შოშიაშვილი.

7) ქსნის საბოქაულოში სწორედ ამაღლებას მოუკლავთ ორი გლეხ-კაცი.

8) 16 ივნისს მოუკლავთ აზნაური მიქაძე.

9) 20 ივნისს დასცემიან ს. კობუსტოში მცხოვრებს მდიდარს ოსს გადო ბუროშვილს; ამ შემთხვევაში-კი ოთხნი ყოფილან. აი საქმე როგორ მომხდარა. გადო ბუროშვილს ჰყოლია სიძე, ოსი უმარ ფარნიაშვილი, რომელსაც გადოს საქმეები და მისი მდგომარეობა დაწვრილებით სცოდნია. აი სწორედ ამ სიძეს უსწავლებია, სად რა ყოფილა შენახული გადოს სახლში. ოცს ივნისს, შუადღისას, ავაზაკნი მისულან ს. კაბუსტოს (კავკავის მიჯნაზედ), დამალულან ტყის პირას და აქედგან გაუგზავნიათ ფარნიაშვილი გადოსთან. ამ კაცის პირით ავაზაკთ უთხოვნიათ 20 თუმანი. ფულის მაგიერად თვით ოთხი ძმანი ბუროშვილები მისულან ავაზაკებთან, რომელთაც გამოუცხადებიათ, თუ დღესვე 20 თუმანი არ მოგიტანიათ, აგიკლებთო. „მოვილაპარაკებთ სახლში და შემდეგ მოგართმევთო“, უპასუხნიათ ბუროშვილებს. რადგანაც დანიშნულს დროზე ფული არ მიუღიათ, ავაზაკები საღამოს ექვსს საათზე პირდაპირ სახლში მისულან და თოფის სროლა დაუწყიათ. მხოლოდ ფარნიაშვილი შორი-ახლო, ტყის პირას, მდგარა ყაბალახით პირ ახვეული და იქიდგან უსროლია თოფი. ჯერ გადოს მივარდნილან, რადგანაც პირველად ის გამოსულა და ახლო კლდიდან ხევში ჩაუგდიათ. საწყალს მსხვერპლს იქვე სული დაულევია. გადოს გარდა თოფის სროლის ხმაურობაში მეორე ძმაც გამოსულა და ისიც ხელებში დაუჭრიათ. შემდეგ შესულან პირდაპირ იმ ოთახში, სადაც ფული ყოფილა შენახული. სკივრის ძებნაც-კი არ მოუნდომიათ, ისე მშვენიერად სცოდნიათ ყველაფერი. სახლიდამ გაუტანიათ 1080 მანეთი, რევოლვერი და ყაბალახი. ფარნიაშვილი მესამე დღეს მცხეთის ბოქაულს, სხვებთან ერთად განსაკუთრებით ამ ავაზაკთა დასაჭერად გაგზავნილს, ბატონს გუგუშვილს შეუპყრია და სამართალში მიუცია. დანარჩენი ჯერ ქსნის ხეობაში გაქცეულან, შემდეგ 26 ივნისს მეჯვრისხევში მისულან და აქედგან ატენის ხეობაში დამალულან. ამ ორსამს დღეში-კი, როგორც მკითხველებმა უკვე იციან, მათ თავი ამოუყვიათ დუშეთის მაზრაშიც. ზემოხსენებული ამბები ცხადად გვიჩვენებენ, რა წუნკალნი და საძაგელნი ყოფილან ეს ავაზაკები. არა ვითარი შებრალება არ აქვთ. მათ უფრო გლეხ-კაცობა დაუჩაგრავთ, ვიდრე სხვა წოდების კაცნი. და აი ამდენის ბოროტის მომქმედნი ავაზაკნი დღესაც თავისუფლად დათარეშობენ და ალარავის მოსვენებას ალარ აძლევენ.

ამიერ კავკასიის სხვა და სხვა კუთხეებში ბევრი ავაზაკი ყოფილა, მაგრამ არც ერთს მათგანს არ გამოუჩენია იმდენი სულმდაბლობა, სისაძაგლე და ზნეობითი დაცემა, როგორიც ზემოხსენებულ ავაზაკებმა გამოიჩინეს: სრულიად უიარაღო კაცის მოკვლა, სახლისათვის ცეცხლის მო-

---

# ფელეტონი

## პედაგოგიური საკვირველება

ანუ

*Курсъ русскаго языка для грузинскихъ начальныхъ школъ, годъ первый, составилъ Ф. Левитскій.*

თავისებურის გარემოებით არის მოცული ამ წიგნის გაჩენა და არსებობა. აგერ ნახევარ წელიწადი მეტი იქნება, რაც იგი დაიბეჭდა, მაგრამ არც ერთს გაზეთში მასზედ განცხადება, ან ხსენება არა ყოფილა; ვერც ერთს საქართველოს წიგნის მაღაზიაში მას ვერ იყიდით. და რად უნდა ამ წიგნსა ან განცხადებაში ფასის გალება, ან პროცენტისა, როდესაც უამისოდაც კარგად საღდება, საღდება შინაურულად, ჩუმად, ბრძანება-მორჩილობის წყალობით. აქვს მას თავისი ბაზარი, დასაკუთრებული, ყურ-მოჭრილი, ჭდოს წრით შემოვლებული. ეს ბაზარი გახლავთ ქუთაისის გუბერნიის სადირექციო სკოლები. ჰყავს მას მუქთი შუამდგომელი, გამსაღებელნი, რომელნიც ერთს გროშსაც არ იღებენ შრომისათვის. ესენი არიან ინსპექტორები სამოქალაქო სასწავლებლებისა, რომელთაც დავალებული აქვთ იქონიონ საწყობი „курсъ“-ისა და ჰყიდონ მასწავლებზედ. გაზეთების განცხადებებზედ ბევრად უფრო უებარი ღონის-ძიებაც ახლავს ამ წიგნსა. ეს გახლავან ცირკულიარები, რომელნიც უხვად იგზავნებოდნენ ამ სამოსწავლო წლის განმავლობაში დირექციის სატახტო ქალაქიდგან ყველა დაბასა და სოფელში. ერთის სიტყვით, ეს წიგნი პერანგშია დაბადებული, ერთი რუსული ანდაზისა არ იყოს.

გარნა ამ წიგნის ისტორია დაბეჭდიდგან არ იწყება. მას აქვს უფრო ადრეული ისტორია, არა ნაკლებ საინტერესო და საგულისხმიერო. გავიცნათ ეს ისტორიაც და ამითი გავაადვილოთ უტყუარი მსჯელობის დადგენა შესახებ წიგნის ღირსებისა და ნაკლულევანებისა.

ეს კურსი ორის წლის წინად ავტორმა წარუდგინა ადგილობრივს სამოსწავლო მთავრობას მოსაწონად. გასინჯვის შემდეგ წიგნი დაწუნებულ იქმნა ⁊ იგი დაუბრუნდა შემადგენელს მრავალის შენიშვნებითა. ავტორმა გადააკეთა წიგნი, შეასწორა, გადაასხვაფერა და ხელ-მეორედ წარუდგინა მთავრობას ხელ-ნაწერადვე. მაგრამ ეტყობა, რომ ავტორმა შენიშვნები ხეირიანად ვერ მოიხმარა და წიგნის წარდგენა იმდენად მდარე მდგომარეობაშია, რომ მთავრობა იძულებული გახდა მოეწონებინა იგი არა როგორც სახელმძღვანელო (руководство) და არც როგორც სამოსწავლო მაშველებელი (учебное пособіе), არამედ როგორც უბრალო მაშველებელი (пособіе) და ეს უკანასკნელი ხარისხის მოწონებაც არგუნა იმ პირობით, რომ ავტორს წიგნის სათაურში დაებეჭდა დარიგება მასწავლებელთათვის, თუ როგორ უნდა იხმარონ მათ წიგნი.

როცა რომელსამე წიგნს სინჯავენ მისი ავტორის კარგი ნაცნობნი, თანამოსამსახურენი და კეთილის-მყოფელნი და ჯერედ სრულიად იწუნებენ ამ წიგნსა და მერმე, გადაკეთების შემდეგაც, ცალ-ყბივ, ნახევრობით იწონებენ, ეს მისი უტყუარი ნიშანია, რომ წიგნი ძლიერ მდარეა და ნაკლულევანებით სავსე. ვნახოთ, რამდენად ამართლებს წიგნი ამ გვარს დასკვნასა.

ჩვენს სკოლებში რუსულის ენის სწავლება იწყება ლექსიურის გაკვეთილებით, რომელნიც იმაში მდგომარეობენ, რომ მასწავლებელი საგნების საბუთების ჩვენებით ერთი მხრივ და მეორე მხრივ დედანის შემწეობით ზეპირად, ცოცხალის სიტყვით ასწავლის რუსულს სიტყვებს, ფრაზებს და პაწია მოთხრობებსა რამდენიმე თთვის განმავლობაში და შემდეგ შეუდგება ხოლმე წერა-კითხვის სწავლებასა. ლექსიური გაკვეთილები, როგორც პირველი ნაბიჯი, ითხოვს დიდს სიფრთხილეს, სასტიკს სისტემას, მტკიცე დაცვას პედაგოგიურის დედა-აზრისას: „გადადით ადვილიდგან ძნელზედ“; აქ ფრიად საჭიროა მოერიდონ იმ გვარს რუსულს ფრაზებს, რომელთა შენობა არ შეესაბამება ქართულის ენის აგებულობასა და სახელმძღვანელოს უძნელესს განყოფილებას შეადგენენ. თუ ეს გაკვეთილები ალალ-ბედზედ დამყარდა, არამც თუ რუსულის ენის სწავლება თავშივე ძლიერ დაბრკოლდება, არამედ ადვილად შეიძლება თვითონ ეს ენაც შეაძულონ ბავშვებსა. „კურსის“ ავტორს სახეში სრულიად არ მიუღია ეს მოსაზრება, თავი არ შეუწყენია ლექსიური გაკვეთილების შედგენით და მთლად მასწავლებლისათვის მოუხვევია თავზედ ეს უძნელესი საქმე.

მაგრამ იქნება რაც არის წიგნში, ის მაინც კარგია?

წიგნი იწყება რუსული ანბანითა. ანბანი შედგენილი აქვს წერა-კითხვის მეთოდზედა. ეს მეთოდი ამას წინედ ევროპასა და რუსეთში მტკიცედ სუფევდა; მაგრამ ბოლოს წლებში უარყოფილ იქმნა დაწინაურებულ პედაგოგებისა და ექიმებისაგან იქაცა და აქაც, როგორც უვარგისი და მავნებელი მეთოდი. მის მაგიერ აღიარე-

კიდება და ბევრი სხვა ამ ნაირი ამბავი.

რაც ამ უკანასკნელს დღეებში მოხდა, მკითხველს დავიწყებული არ ექმნება, ამიტომ თავს აღარ მოვაბეზრებთ ჩამოთვლით. მხოლოდ იმის დასამტკიცებლად, თუ რა მოხერხებულნი არიან ზემოხსენებულნი ავაზაკნი, რა საშუალებას ხმარობენ იმ აზრით, რომ გზა და კვალი დაუკარგონ პოლიციელებს, მოგვყავს აქვე უსახელო წერილი, რომელიც ბ-ნს გუგუშვილს, მცხეთის ბოქაულს, რომელიც ამ ჟამად გორშია დროებით გაგზავნილი მიუღია ვითომდა ტფილისიდამ. ნამდვილად-კი წერილი არის დაწერილი გორში, კერძო ხელით გაგზავნილი ტფილისში და აქედგან ფოსტით გორში. აი ეს წერილიც:

Въ г. Гори.

Приставу Гугушвили въ уѣздное управленіе **секретное** очень важное

ქალაქელი ვ—ო

„1891 წ. 21 ივნ.

ქ. ტფილისი.

„მიკვირს დიდად რას ჩადიხართ მანდ რას ეძებთ ყაჩაღებს. 19-ს საღამოზედ პოეზდით ისინი სამნივენი ქალაქში ჩამოვიდნენ სრულებით უიარაღონი. დღეს ე. ი. 21-ს საღამოზედ აპირებენ წამოსვლას. აბა ეცადეთ, გორში გამოივლიან პირველ საათზედ ღამე. თუ წყალი დიდი არ არის ხიდთან ფონში გამოვლენ. აქ ბევრი პატრონები იყიდეს აქედან გამოჰყვებათ ერთი სომეხი, რომელიც მიეამხანაგათ იმათ, დიდი რაზბონიკი კაცის მკვლელი. თუ ეცდებით, გორშივე ნახამთ იმ ღამეს როცა ამოვლენ მანდ დარჩებიან. მანდ გამოჩენილი ადვოკატის სახლში მივლენ. Пожалуй онъ ихъ укроэтъ. Фамилія Н. ახლა თქვენ იცით. Не смущайте этого. Чрезъ два дня опять сообщу“.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

პოლიტიკის ცა მაინც კიდევ მოღრუბლული - მოშავბედებულია და პაწია ცაცინათელაც-კი არსად სჩანს იმის იმედად, რომ დიდმა სახელმწიფოებმა თავისის სისხლის მღვრელობისათვის მოსამზადებელს პოლიტიკას თავი დაანებონ. აწინდელნი სახელმწიფონი თითქმის მესამედს მთელ თავის შემოსავლისას იარაღის ასხმასა და, როგორც გაიძახიან, მტრის მოსაგერებელს სამზადისს. ანდომებს ყველა დიდი სახელმწიფო სისხლის საღვრელად ჰლესავს ეხლა ხმალს, ყველა გაფაციცებულს სამხედრო სამზადისშია და ამასთანავე ყველა გაიძახის, რომ ჩვენ მშვიდობიანობის დარღვევას არა ვართ მოწადინებულნი და თუ იარაღს ვისხამთ, მხოლოდ იმიტომ, რომ გარედგან შემოსეულს მტერს მედგრად დავუხვდეთო! თუ ყველა გარედგან ელის მტერს, ეს მტერი ვიღაა, როცა გარედ აღარავინ დარჩენილაო? იკითხავთ. ალლახმა უწყის; ხომ მოგეხსენებათ, მიზეზმიზეზ-დოს მარილი აკლიაო. მაინც მთელი ევროპა ეხლა ორ-ნაწილად არის გაყოფილი—ერთს მხარეს დგანან გერმანია, ავსტრი-ვენგრია და იტალია, მეორე მხარეს—საფრანგეთი და რუსეთი. ამ ბოლოს დროს ხმა გაისმა, ვითომ ზემოხსენებული სამთა კავშირი ოთხთა კავშირად აპირებს ქცევას და ინგლისიც ემხრობა დამეგობრებულს გერმანიასა, ავსტრი-ვენგრიასა და იტალიასაო. ამ ამბისა დაბეჯითებით ჯერ არც ჰო ითქმის, არც არა, ისე, როგორც ძნელადვე სათქმელია, როდემდის შერჩებიან ერთმანეთს საფრანგეთი და რუსეთი. ამ ბოლოს დროს ამ კავშირის წინააღმდეგ თვით ფრანგების ხმაც გაისმის. წარსულს წელს ამასვე ჰქადაგებდა საფრანგეთის კაპიტანი მარენი თავისს წიგნში—„Français et Russes vis-á-vis la triple Alliance“. თუ მკითხველებსაც ახსოვს.

მარენი ამტკიცებდა, რომ ვინიცობაა ომი ასტყდა, ვიდრე რუსეთი ჯარებს გააწყობს საომრად, გერმანელები უკვე ჩვენს საზღვარზედ მოუყრიან თავს თავისს ჯარსა და ზურგზედ სულ ბოლს აგვადენენო. ამიტომ ყოვლად საჭიროა, რომ საფრანგეთი შორს განუდგეს რუსეთს, არ აკიდოს, თუ აიკიდოს, ეს სახელმწიფო და თავისი მეგობრობა თავზედ არ მოახვიოსო.

კაპიტანს მარენს ეხლა კიდევ მეორე წიგნი დაუბეჭდია—„Bulgares et Russes vis-á-vis la triple Alliance“, სადაც თითქმის ძველსავე გზას ადგა. წინად ამბობდა, გერმანიას უნდა მოვურიგდეთ და ამით დავწყნარდეთო, ეხლა-კი ამბობს, რომ:

საფრანგეთი გერმანიასა და იტალიას უნდა დაეხმაროს რუსეთის წინააღმდეგ და არ უნდა გააქელვინოს ამ სახელმწიფოს ორიოდე ნაშთენი ოსმალეთის სახელმწიფოსი. თუ საფრანგეთი გერმანიას დაეხმარება და რუსეთის წინააღმდეგ ხელს მოუმართავს, იმედი უნდა ჰქონდეს, რომ მაშინ გერმანია ლოტარინგიას დაანებებს და ერთ მილიარდად გამოასყიდვინებს, თუმცა-კი იძულებული შეიქმნება ტუნისი იტალიას დაუთმოსო.

ასეა, თუ ისე, ევროპის შეიარაღების საქმე დღეს იქნება, თუ ხვალ, თავისს საზღვარს მიადგება და ბრალი იმისი მაშინ, ვინც უძლური და უღონო—აღმართშიაც-კი ისე მოიხვნება, რომ ვგონებთ ერთის საუკუნის განმავლობაშიაც ვერ გაიმთელოს ამ ომისაგან დაწყლულებული ჭრილობანი...

**

გენერალი ბულანჟე არ ისვენებს. რაკი პოლიტიკაში კოჭი ალჩუს არ დაუჯდა, ეხლა უნდა, მწერლობაში გაიტანოს როგორმე თავი. ამ სამის წლის წინადაც სცადა გენერალმა, საპოლიტიკო ასპარეზიდგან განდევნილმა, სამწერლობო ასპარეზზე გამოსვლა, მაგრამ მარცხად მოუვიდა საქმე. აგერ ეხლა კიდევ ხელ-მეორედ უცდია: პარიჟში ამ დღეებში უნდა გამოვიდეს მის მიერ დაწერილი წიგნი შემდეგის სათაურით: „ფიქრები გენერალის ბულანჟესი“. მოგვყავს ორიოდე ადგილი ამ ფიქრებიდგან.

სიყვარულში მხოლოდ ერთი ღვთიური წუთია, სახელდობრ ის, როცა პირველად ჰნახავთ სტუმრობისას სადმე, ან ქალაქს გარედ სეირნობისას ნორჩს ყმაწვილს ქალს დიდრონის, გაოცებულის თვალებით, ერთსა და იმავე დროს გულ-წრფელსაცა და ღრმასაც, ურჩსაც, დამფრთხალსაც, იმ ყმაწვილს ქალს, რომელიც თქვენთვის გამოცანაა და რომელიც, როგორც თქვენვე ჰგრძნობთ, თქვენ შემოგცქერით უყურადღებოთ. ვინ მოსთვლის, რამდენი სიხარულო არსება მოდიოდა ამ სახით ჩემთან და თავისისავე ხელით მოჰქონდა, ტურგენევისავით დავაზად რომ ვსთქვათ, მთელი ბედნიერება ჩემის ცხოვრებისა! იქნება სწორედ ეს იყოს ყველაზედ სავსე და სრული ბედნიერება, მაგრამ მაინც-კი იგი სისხლის სამართალში წინ-დასახული არ არის და მისთვის თავს არ იწუხებენ არც მშობლები და არც მეუღლენი.

იმ კაცებს, რომელთაც სიყვარულში ბედი უღიმით, უფლება არა აქვთ, გულზედ სიმამაცის ნიშნები დაიკიდონ, რადგან ეს ნიშანი სიმამაცისა დამარცხებულს გულსა ჰფარავს.

ზოგიერთ ქალის გულამდე მხოლოდ ოთხ-ცხენიანის ეტლით მიაღწევს ადამიანი.

ლამაზი ქალი ყოველს გველს, ადამიანის გულში დაბუდებულს, დაიმორჩილებს ხოლმე, ეჭვის გველს გარდა.

როგორც ჰხედავთ, სიყვარულისთვის მოსცლია ბულანჟეს!..

**

ოსმალელი და სპარსელი ისე რიგად ვერ ეწყობა მოგზაურობას და იშვიათადაც ჰშორდება ძველს სამყოფელს, ძველს წესსა და სჯულს. ათადან-ბაბადან იშვიათი იყო მათ შორის მოგზაურობა, იშვიათია ეხლაც და ვგონებ იშვიათადვე ჯერ კიდევ კარგა ხანს დარჩება. სპარსეთის შაჰი რომ არ ჩავაგდოთ, მოგზაურ სპარსელის სახელი სხვისა ძნელად გასაგონია. ამიტომ ცოტა გასაოცარიც არის გაზ. „Одесскій Вѣстникъ“-ში დაბეჭდილი ამბავი, რომ ამ დღეებში.

ოდესიდგან რკინის გზით საზღვარ-გარედ წავიდა მთელი დასი სპარსელ მოგზაურებისა, რომელთაც, სპარსეთის შაჰის ბრძანებით, უნდა იმოგზაურონ ევროპაში. ამ დასში სულ ხუთი ყმაწვილი კაცია, თეირანის საუკეთესო გვარიშვილნი. მოგზაურნი ევროპიულად არიან ჩაცმულნი, ევროპიული განათლება აქვთ მიღებული თვით პარიჟიდგან მოწვეულ აღმზრდელების მიერ. მოგზაურებს თან დასდევს ფრანგი [illegible]. უკან როცა დაბრუნდებიან, მოგზაურები შემოივლიან ოდესაში, ერთს კვირას აქ დაჰყოფენ და შემდეგ აქედგან ყირიმს და კავკასიაში გაემგზავრებიან. გზა მშვიდობისა ჰქონდეთ!

## წერილი რედაქციის მიმართ

ამას წინად განჯიდგან შენიშვნა იყო ტფილისის გაზეთში დაბეჭდილი ნ. ბარათაშვილის საფლავის შესახებ. იმედი მქონდა, რომ პოეტის ნათესავები, ჩვენი მწერლები და ჩვენი ახალ-გაზრდობა ერთმანეთს შეეჯიბრებოდა თავის წმინდა მოვალეობის აღსრულებისათვის და გაზეთისავე შემწეობით მალე შევიტყობდი, რომ ჩვენის საყვარელის პოეტის გვამი დიდის ამბით გადმოიტანეს და მიაბარეს სამშობლო მიწასაო. მე ის მაკვირვებდა, აქამდე რატომ არავინ იფიქრა, რომ საფლავი შესანიშნავის მწერლისა ისევე უნდა იყოს შთამომავლობის სათაყვანებლად დაცული, როგორც მისი ქმნილებანი. ან განა ბევრი უნდა, რომ იმ თავითვე შეუდგეს ვინმე საქმეს? ნუ თუ არავინა გვყავს ისეთი, რომ ასეთს საქმეს დაახარჯოს 200-300 მან. სად არიან ჩვენი მწერლები, რატომ არ ითავა ეს საქმე ჩვენმა ყმაწვილ-კაცობამ, რომელიც ვალდებულია, ამისთანა საქმეს თავში უდგეს და მხარი მისცეს!

თუმცა ამის შესახებ ხმა გაისმა, რომ ნათესავებს ჰსურთ, გადმოიტანონო, მაგრამ აქამდე არარა ისმის-რა. ამ სურვილს რამ მოაკვეცა ფრთები, და თუ არ მოჰკვეცია, რა მდგომარეობაშია და რამდენად წაიწია წინ? უმადური ბედი ხანდახან ჩვენც გვაგილემებს და გვაცინებს ხოლმე ისეთს კაცს, როგორიც ნ. ბარათაშვილია, რომელიც ჩვენს უფერულს ცხოვრებას თავის ნიჭის დაღს ასვამს. ნუ თუ ამისთანა კაცს იმდენი პატივი არ უნდა ვცეთ, რომ მისი გვამი სამშობლო მიწას მივაბაროთ და საფლავი წმინდად შევინახოთ! მართლად გვესაყვედურებიან ჩვენებიცა და სხვებიც, რომ არაფერს ვაკეთებთ და საზოგადო საქმეს გულ-გრილად ვეკიდებით. ჩვენ თუ ვერაფერს შევქმნით და გავაკეთებთ, იმას მაინც მოვუაროთ და ვუპატრონოთ, რაც შექმნილია, მათ მაინც დავუმტკიცოთ პატივისცემა, ვისაც რამე შეუქმნია და ვინც რასმე აკეთებს. მე ერთს საწყალს კაცს ვიცნობ, რომელმაც გაცხარებულ მუშაო-

---

ბულ და მიღებულ იქმნა კითხვა-წერის სისტემა, რომლითაც ბავშვებს ჯერედ გააცნობენ ხოლმე ასოებს კითხვის მხრივ, მერმე წერის მხრივ, ანუ ჯერ კითხვას ასწავლიან და მერმე წერასა. ჩვენ ამ საგანს ვუძღვენით ჩვენს მეთოდიურს სახელმძღვანელოში მთელი წერილი და სხვათა შორის იმედი გამოვსთქვით, რომ რუსის პედაგოგები, რომელთაც წერა-კითხვის მეთოდზედ აქვთ შედგენილი ანბანები, გადააკეთებენ მათ და წაღმა მოუბრუნებენ საქმესაო. ჩვენი იმედი უკვე აცხადდა. ბუნაკოვმა, რომელსაც წინედ წერა-კითხვის რიგზედ ჰქონდა მოწყობილი თავისი რუსული ანბანი, უკანასკნელს გამოცემებში იგი დააყენა კითხვა-წერის სისტემაზედ,—სხვებიც ასე იქცევიან ბოლოს დროსა და თანდათან სახელმძღვანელოებიდგან ჰქრება წერა-კითხვის მეთოდი, რომელიც ჩვენ უარ-ვყავით თხუთმეტის წლის წინადვე, როდესაც ვადგენდით „დედა-ენასა“ და რომელშიაც ანბანი დაწყობილი კითხვა-წერის სისტემაზეა. მართალია, უშინსკის „родное слово“-ში აქამდის დარჩენილია წერა-კითხვის მეთოდი; მაგრამ ეს იმისაგან მოხდა, რომ ეს უნიჭიერესი რუსეთის პედაგოგი ათი-თოთხმეტი წელიწადია, რაც გარდაიცვალა და სიკვდილის შემდეგ ხომ ცვლილებას ველაც მოახდენდა. ეტყობა, ქუთაისამდის ეს ამბავი ჯერ არ ჩასულა და სწორედ ამითი უნდა აიხსნას, რომ ბატონს ლევიცკის წერა-კითხვის მეთოდზედ შეუდგენია თავისი ანბანი.

ხოლო უკულმართობა ანბანის მეთოდის შესახებ ამით არა თავდება. ყველა პედაგოგი, ვინც აქნობამდე წერიდგან იწყებდა საქმესა, წერის დედანზედ აშენებდა საქმესა,—ბავშვები სწერდნენ ამ დედნის ხელმძღვანელობით და თანაც კითხულობდნენ ნაწერსა. ბატ. ლევიცკის დედნის მაგიერ უხმარია ერთგვარი რუსული ასოები, რომელსაც კურსივი ჰქვიან, და რომელსაც შუაგული ადგილი უჭირავს საკითხავსა და საწერ ასოებს შუა. არც ალმა-ცერობით, არც ასოების მოყვანილობით და არც სიდიდით ეს კურსივი ვერ იქმს საწერი შრიფტის მაგივრობას და წერის ნიმუშად ვერ გამოდგება, მით უმეტეს, რომ ამ შრიფტსა თავისი ასო-მთავრული არა აქვს და ხმარობს ბეჭდურს ასო-მთავრულსა. რა უნდა ჰქმნან ბავშვებმა? მეტი ღონე არ არის, ცალკე დედანი უნდა იყიდონ; მაგრამ სად იშოვნონ იმ რიგზედ დაწყობილი ასოები, რა რიგითაც აქვს ნახმარი იგინი ბ-ნ ლევიცკის? ამ გვარი დედნის შოვნა ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც რუსეთში არც ყოფილა და არც არის იმისთანა უვიცი დედნის შემდგენი, რომ ლევიცკისებურად ჩაერიგებინოს ასოები. მაშ რა უნდა ჰქნან მასწავლებლებმა და ბავშვებმა. მეტი ჩარა არ არის, წერას სულ თავი უნდა დაანებონ და ისწავლონ მხოლოდ კითხვა ჯერედ კურსივისა, რომელიც იშვიათად იხმარება, და მერმე ბეჭდურისა.

აქამდის სკოლამ და პედაგოგიამ იცოდა ორი მეთოდი: წერა-კითხვისა და კითხვა-წერისა. ბ-ნ ლევიცკამ აღმოაჩინა მესამე მეთოდი: კითხვა-კითხვისა. ქება და დიდება აღმოჩენისათვის. მაგრამ თუ მასწავლებლები და მოსწავლეები სწორედ ხათაბალაში ჩაავდო ამ უცნაური მეთოდით, თავის თავს-კი სამაგიეროდ, დიდი შეღავათი მისცა ბ-ნმა ლევიცკიმ. მოგეხსენებათ, რომ კარგი დედნის დაწერა კაი ჯაფას ითხოვს და მისი ამოჭრა ხეზედ, ან ლიტოგრაფიაში დაბეჭდვა, დიდს ფულსა. ჯაფაცა და ხარჯიც „კურსის“ ავტორმა სწორედ ისევე აიცილა თავიდგანა, როგორც მეთოდიურის სახელმძღვანელოს შედგენა ანუ ჯეროვანი დარიგების დაწერა და ლექსიურის გაკვეთილების ჩართვა წიგნში. ეკონომიაც ამასა ჰქვიან!

პედაგოგნი ევროპისა და რუსეთისა, რომელს მეთოდსაც გინდა მისდევდნენ—წერა-კითხვისას, თუ კითხვა-წერისასა, ყოველთვის ანბანის შესწავლას ამყარებენ სურათებზედ. რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ თვალსაჩინო ელემენტს, რა ნაირად აადვილებს სწავლას და რავდენად ახალისებს ბავშვებს სწავლაში, ეს ახლა ყველას ესმის, არამც თუ მასწავლებლებს, არამედ ცოტაოდნად შეგნებულს ადამიანებსაც-კი.

„კურსის“ ავტორს აქაც უღალატნია პედაგოგიის მოთხოვნილებისათვის და სურათებისათვის გზა სრულიად აუქცევია. მის წიგნში არც ერთი სურათი შავშვს თვალს არ უხარებს, არ უხალისებს, ჩაბეჭდილების წყურვილს არ უკლავს. სამაგიეროდ, ეკონომია აქაც გამარჯვებულია. სურათების შერჩევა დროს ართმევს კაცსა, მათი შოვნა, ან დახატვა, ფასს თხოულობს, ამოჭრა ხეზედ, ან სპილენძზე დიდი ფული ჯდება. მაშ ჯანდაბას სურათები და გაუმარჯოს ლიტონს სიტყვებსა და ფრაზებსა. ეს უკანასკნელები არც ჯაფას ითხოვენ და არც ხარჯსა და შეგიძლიან იმდენი ფქვა, რავდენიც გნებავს.

(შემდეგი იქნება)

ბის დროს მიატოვა ცოლ-შვილი, აიღო კალი და წავიდა ფეხით 200 ვერსის სიშორეზე იქ გარდაცვალებულის ძმის საფლავის მოსანახავად. ერთის თვის შემდეგ დაბრუნდა და მოიტანა ხურჯინით თავისის ძმის ძვლები და შესაფერად დაასაფლავა მამა-პაპათა შორის. ნუ თუ ამ საწყალს გლეხს უნდა ჩამორჩეს ჩვენი განათლებული ინტელიგენცია?

ამასთანავე გიგზავნით ერთს თუმანს ნ. ბარათაშვილის გვამის გადმოსასვენებლად. თუ შეუდგნენ კიდეც ნ. ბარათაშვილის გვამის გადმოტანის საქმეს, ეს თუმანი ნ. ბარათაშვილის ახალს საფლავზე ძეგლის ასაგებ ფონდის სასარგებლოდ გადასდეთ.

ნ. პეტრიაშვილი

იგდირი

---

# დეპეშა

8 ივლისს

**პარიჟი.** იმ ამბის გამო, რომ ლიონში მივიდა იტალიის დელეგაცია თოფის სროლაში გასაჯიბრებლად, მეფე ჰუმბერტომ დეპეშა გაუგზავნა დელეგაციის პრეზიდენტს და მადლობა გამოუცხადა ლიონის მკვიდრთ იტლიელ მსროლელთა დახვედრისათვის. ეს დახვედრაო, ამბობს მეფე, თავდებია მეგობრობისა ამ ორს ძმა ერს შორისო. გუშინ დელეგაციის პრეზიდენტმა მეჯლისი გამართა, რომელსაც პრეფექტიც დაესწრო. მეჯლისის დროს რამდენიმე გულითადი სადღეგძელო წარმოითქვა.

**ვენა.** პრაგაში ჩეხურ გამოფენის დასათვალიერებლად მივიდა დასი სერბიელთა, რომელთაც დიდის ამბით მიეგებნენ. ქუჩებში ხალხი საერო საგალობლებს მღეროდა და ისე ეგებებოდა სერბიელს სტუმრებს.

პეტერბურგის ბირჟა, 5 ივლისი

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, 30 | 7, 33 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $146\frac{1}{4}$ | 147 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 04 | 1, 06 | — ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | $237\frac{1}{2}$ |
| —მეორისა . . . . | 226 | — ,, | — ,, |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . . . , | 212 | — ,, | — ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

---

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოსაო, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, დამასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყიზირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს გადაზე გემები.

---

# განცხადებანი


ქ. სიღნაღში ახლად გაიმართა

## წიგნის მაღაზია

ალექსანდრე მაჭავარიანისა და ამხანაგობისა

იქვე იღებენ ყდის კეთების საქმეს ლუკა მოსულიშვილის სახლებში.

ისყიდება აგრეთვე კანცელარიის ხელსაწყო.

(19—77—8)

---

## „სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

**თხზ. დ—რის ლორენციისა.**

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამა სასარგებლო იგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებული მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

---

ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| პატიოსანი ადამიანი . . | „ | 5 |
| ლენტის მსგავსნი ჰიები ი. თ. . . . . . | „ | 5 |
| მეფე დავით აღმაშენებელი, ისტორიული დრამა თ. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისა . . . | „ | 40 |
| უკინასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით თარგ. თ. სახოკიასი. . . . . | „ | 30 |
| სამნი ბრძენნი, ილ. ოკონთელისა. . . . . | „ | 20 |
| ძმური სიტყვა. დ. მაჩხანელისა . . . . . . | „ | 25 |
| იქავე ისყიდება-**თორნიკე ერისთავი**, ისტორიული პოემა აკაკისა . . | 1 | „ |

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიამ**

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| „ვეფხის-ტყაოსანი“ მე-12 გამოცემა, ოზურგეთში; ფასი . . . . . . | „ | 30 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა . . . | „ | 30 |
| სამი ბრძენი, ილ. იკოთელისა. . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა. . . . . . . | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი . . . . | „ | 30 |
| ხალხური ლექსები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . . | „ | 30 |
| რამდემიმე ლექსი ცახელისა. . . . . . | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . | 1 | „ |
| ბრძენი . . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით. | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა . . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, ყდით . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი, დამატებით ძველის გეოგრაფიისა. . . . . | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამატიკა დამატებით გრამატიკურის და ლოღიკურის ანალიზებისა. . . | „ | 40 |
| მოკლე რეტორიკა, გინა მჭევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცისა, ყდით . | „ | 50 |
| მოკლე ფილოსოფია, გინა სიბრძნის მოყვარეობა, რომელიც შეიცავს ფსიხოლოღიას, ლოღიკას, ბუნებით ღვთის-მეტყველებას და ზნეობას ყდით. | „ | 50 |
| წამება, ლექსად თქმული ცხოვრება წმიდისა ესტატისა, ყდით . . . | „ | 60 |
| ყვავილების კონა, ანუ რჩეული ლექსები სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცთა. . . . | „ | 50 |
| საქართველოს სამოთხე, საბინინისა, ოც-და-შვიდი სურათით. . . . . | 10 | „ |

---

გამოიცა ალექსანდრე როინაშვილის მიერ

## „ძმური სიტყვა“

დ. მაჩხანელისა

და ისყიდება შემდეგს ადგილებში:

ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში;
ქუთაისში ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიაში;
გორში არსენ კალანდაძესთან;
თელავში ილია ზარაფოვთან;
სიღნაღში კოტე ბალაშვილთან და კოტე ნადირაშვილთან.
ოზურგეთში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.
წიგნი ღირს ხუთ შაურად. ვინც 10 ცალს ერთად იყიდის გამომცემლისაგან, აბაზად დაეთმობა. (10—79—8)

---

გამოვიდა და ისყიდება ქვემო მოხსენებულ პირებთან ერთ წიგნში მოთავსებული ქართული პიესები.

## ქართული პიესები

თხზულება

**ალალო თუთაევისა.**

ამ იგნში შემდეგი პიესებია მოთავსებული:
**„უშნო არშიყი“**, კომედია სამ მოქმედებად.
**„სოფიო“**, ვოდევილი ერთ მოქმედებად.
**„დუქნის ოთახში“**, სცენა ქალაქის ცხოვრებიდამ.
ტფილისში—„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიაში, წიგნების გამომცემელ ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში. და თვით ავტორთანსა კუთარს მაღაზიაში
კავკავში—ი. ტერტეროვთან.
ველისციხეში—მ. ქალანთაროვთან.
სიღნაღში—კ. ნადიროვთან.
თელავში—მამა აბელ სუქიანცთან.
გორში—სოფრომ მგალობლიშვილთან.
ცხინვალში—ი. მელქუოვთან.
„ თ. კ. მ. ციციანოვთან.
სურამში—ზ. არუწოვთან.
ყვირილაში—თ. ხუსკივაძესთან.
ქუთაისს—ძმ. ჭილაძებისა და ძმ. წერეთელ. წიგნის მაღაზიაში.
ხონში—ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიაში.
ოზურგეთში—თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.
ახალსენაკში—ი. ჯიჯიხიასთან.
ბათუმში—მ. ნიკოლაძის საააგენტოში.
ფოთშ—ნოდიას წიგნის მაღაზიაში.
სოხუმში—ან. ჯუღელთან. ფასი. 30 კაპ. (15—7)

---

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . | 5 ,, 25,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . | 4 ,, 70,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია‘‘ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.


Дозв. ценз. Тифлисъ, 9-го Іюля 1891 г. სტამბა მ. შარაძისა, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21 რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე